საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

MES 1 22 0000959667

29/08/2022

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განვითარებისა და ინოვაციური სწავლების ცენტრის წამყვანი სპეციალისტის პოზიციის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ''ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის,,ზ'' ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N26 14/03/2018 ოქმი N5), სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (N 939276; 24/08/2022 წ;) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განვითარებისა და ინოვაციური სწავლების ცენტრის წამყვანი სპეციალისტის პოზიციის დასაკავებლად;

2. წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პოზიციის დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად (რომელიც თან ერთვის ბრძანებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს);

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პოზიციაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა, საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე;
2. ავტობიოგრაფია **(CV);**
3. პირადობის მოწმობის ასლი;
4. ვაკანსიის მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;
5. ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“.

4. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:
ა) საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა;
ბ) გასაუბრება.
5. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2022 წლის 30 აგვისტოს და დასრულდეს 2022 02 სექტემბერს;
6. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში (უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსი, II სართული, ოთახი N 206), შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე.
7. წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა განხორციელდეს 2022 წლის 06 სექტემბერს;
8. კანდიდატის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდეს 2022 წლის 08 სექტემბერს;
9. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს (ქ. ხმალაძე);
10. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
11. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
მაისურაძე მზია